ბებელი – სოციალ-დემოკრატია და ტერორი

BEBEL – SOCIAL DEMOCRACY AND TERROR

სერგო რატიანი
პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

Sergo Ratiani
Professor, Ilia State University

რეზიუმე

მოცემულ სტატიაში ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენდა ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკაში ნაპოვნი ავგუსტ ბებელის წიგნი „თავდასხმა მკვლელობის მიზნით და სოციალ-დემოკრატია." ეს ავტორი ორი თვალსაზრისით არის ჩვენთვის საინტერესო. პირველი, ნოე ჟორდანიასთან პოლემიკის წინ ილია ამუშავებს საკმაოდ დიდ ლიტერატურას. მათ შორის, სოციალისტური მოძრაობის ლიდერებსა და კლასიკოსებს (ლასალს, კაუცკის, ბერნშტაინის, ვანდერველდეს) ნაშრომებს. ბებელის საჯარო გამოსვლის ტექსტი, რომელმაც ილიას ყურადღება მიიპყრო, გამოცემულია 1905 წელს, ილიას მკვლელობამდე ორი წლით ადრე და მისი სათაური ისე ჟღერს, როგორც ილიაზე თავდასხმის შესახებ შესაძლო სტატიის სათაური.

ჩვენთვის საინტერესო იყო განგვეხილა ის ისტორიული კონტექსტი, როდესაც ილია ეცნობა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის მოსაზრებებს. ბებელი ასაბუთებს, რომ ტერორი სოციალ-დემოკრატებისთვის მიუღებელი და საზიანოა. სრულიად სხვა მიმართულებით ვითარდება სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა რუსეთის იმპერიაში და კერძოდ, საქართველოში. 1905-1907 წლებში ქართველი სოციალ-დემოკრატების ორივე ფრთისთვის ტერორი, ბრძოლის ერთ-ერთ მისაღებ ფორმად ითვლებოდა. თუმცა, 1906 წლის ბოლოდან, 1905 წლის რევოლუციის წარუმატებლობის ფონზე, მენშევიკები ცდილობენ შეცვალონ სტრატეგია, უარს აცხადებენ მარქსიზმის სწავლების ფუნდამენტურ პრინციპებზე და მათი პოლიტიკა უახლოვდება გერმანელი სოციალ-დემოკრატების მიდგომებს.

აღსანიშნავია და საინტერესოა, რომ ილიამ გერმანელი სოციალ-დემოკრატების დამფუძნებლების შრომების გაცნობის საფუძველზე გაცილებით ადრე დაინახა რუსული სოციალისტური მოძრაობისგან განსხვავებული გზის პერსპექტივა, ვიდრე ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა.

ჩვენთვის საინტერესო იყო განგვეხილა იმ პოლიტიკური გარემოს იდეური საფუძვლები, რომელმაც მოამზადა ილიას მკვლელობის „ნიადაგი," ხოლო შემდგომ შეცვალა ქართველი სოციალ-დემოკრატების სტრატეგია.

ბოლო დრომდე ილიასა და ქართველ სოციალ-დემოკრატებს შორის დამოკიდებულებას მხოლოდ დაპირისპირების კონტექსტში განიხილავდნენ. სტივენ ფ. ჯონსმა აჩვენა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატების მსოფლმხედველობის ერთ-ერთი საფუძველი ილიასა და თერგდალეულების ეროვნულ იდეებში უნდა ვეძებოთ.

მოცემულ სტატიაში ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ მიუხედავად მწვავე დაპირისპირებისა, ილიასა და ქართველ სოციალ-დემოკრატებს შორის არსებობდა სხვა შეხების წერტილებიც. ეს იყო ევროპელი სოციალ-დემოკრატების რეფორმისტული, ლიბერალური იდეები. მათ შორის ავგუსტ ბებელის შეხედულებები.

ამ საფუძვლებმა განსაზღვრა ის გარემოება, რომ რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ნოე ჟორდანია და შესაბამისად, ქართველი სოციალ-დემოკრატები1906 წლის შემდეგ, მიუხედავად ადრე არსებული მწვავე დაპირისპირებისა, მთელ რიგ საკითხებში დაუახლოვდნენ ილიას იდეებს და შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული თვალსაზრისით, გახდნენ მის მემკვიდრეები.

Summary

The subject of interest of the article was August Babel's book "Assassinations and Social Democracy" found in Ilia Chavchavadze's library. This author is interesting to us in two ways. First, before the polemic against Noe Jordania, Ilia was working on a large amount of literature including the works of the leaders and scholars of the socialist movement (Lassalle, Kautsky, Bernstein, Vandervelde. The text of Babel's public speech that captured Ilia's attention was published in 1905, two years before Ilia's assassination and the title sounds like the title of the article that could be written about the attack on Ilia.

It was interesting to us to discuss the historical context of the period when Ilia read the views of the leaders of the Social Democratic Party of Germany. Bebel argues that terror is unacceptable and harmful to the Social Democrats. The social-democratic movement was developing in a completely different direction in the Russian Empire and, in particular, in Georgia. In 1905-1907, terror was considered as one of the acceptable forms of struggle for both wings of the Georgian Social Democrats. However, from late 1906, in the wake of the failure of the 1905 revolution, the Mensheviks sought to change strategy, abandoning the fundamental principles of the teaching of Marxism and their politics came closer to the German Social Democrats' approaches.

It is noteworthy and interesting that Ilia, after looking through the works of the founders of the German Social Democracy, saw a perspective of a different path from the Russian Socialist movement much earlier than the Georgian Social democrats.

It was interesting to us to discuss the ideological foundation of the political environment that prepared the "ground" for Ilia's assassination and then changed the strategy of the Georgian Social Democrats.

Until recently, the relationship between Ilia and the Georgian Social Democrats was discussed only in the context of confrontation. Stephen F. Jones showed that we should search for one of the bases of the Georgian Social Democrats' worldview in the national ideas of Ilia and the "Tergdaleulebi".

In this article, we tried to show that despite the heated confrontation, there were some points of contact between Ilia and Georgian Social Democrats – reformist, liberal ideas of the European Social Democrats. This includes the views of August Bebel.

These grounds determined the fact that no matter how paradoxical it may sound, Noe Jordania and therefore, the Georgian Social Democrats after 1906, despite the preceding sharp polemics, came close to Ilia's ideas on a number of issues and one might say, became his successors.

ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას საპოლემიკო წერილების ისტორიის კვლევისას აღმოჩნდა, რომ ილიას წინასწარ დაუმუშავებია საკმაოდ დიდი ლიტერატურა. ამ ფაქტს პავლე ინგოროყვა ილია ჭავჭავაძის 1956 წლის გამოცემის სარედაქციო ჩანაწერებში აღწერს. აქვეა ილიას კონსპექტებში დამუშავებული ნაშრომების ნუსხაც (ჭავჭავაძე 1956, 301). კონსპექტები დღეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება. გარდა ამისა, ჩვენ საშუალება გვქონდა გვენახა ილიას ბიბლიოთეკა (ხვედელიძე 2012, 26-27),[1] სადაც მარქსიზმისა და ზოგადად სოციალიზმის თემასთან დაკავშირებული დაახლოებით 30-მდე წიგნი მოიძებნა. საინტერესოა, რომ მათი უმრავლესობა ილიას წაკითხული ჰქონდა. ამ ნაშრომების დახმარებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გზამკვლევის ფარგლებში გამოცემულ წიგნში „ილია და სოციალისტები" შევეცადეთ გაგვეკეთებინა ილიას გარკვეული იდეების გენეზისის რეკონსტრუქცია (რატიანი 2019).

საინტერესოა, რომ ილიას ბიბლიოთეკაში თავად მარქსის კაპიტალის პირველი ტომის სამი ეგზემპლარი გვხვდება.[2] აქ ჩვენ ვერ ვხედავთ ილიას ნამუშევრის კვალს. მხოლოდ ამ მოცემულობის საფუძველზე ჩვენთვის ძნელია ვამტკიცოთ, რამდენად იცნობდა ის უშუალოდ მარქსის ნაშრომს. თუმცა, ამის გარდა, ბიბლიოთეკაში ვნახეთ ცნობილი სოციალ-დემოკრატების, მარქსიზმის კრიტიკოსების, ცნობილი ფილოსოფოსების, სოციოლოგების, ეკონომისტების ნაშრომები, სადაც სრულიად მკაფიოდ ვხედავთ ილიას მონიშვნების კვალს.

ბიბლიოთეკაში სოციალისტებიდან განსაკუთრებით საინტერესო ფიგურებს და, შესაბამისად, მათ ნაშრომებს ვპოულობთ: ფერდინანდ ლასალი — თხზულებები ტ.1[3], ედუარდ ბერნშტაინი — ისტორიული მატერიალიზმი[4]. გუსტავ ბებელი — მკვლელობის მცდელობები და სოციალ-დემოკრატია; გამოც. 2[5]. კარლ კაუცკი — კაპიტალისტური მეურნეობის საზღვრები[6]. ამ ოთხიდან ილიას ნამუშევრის კვალი ლასალის, კაუცკისა და ბერნშტაინის წიგნებში გვხვდება.

---

1 დღეს რომ ილიას პირადი ბიბლიოთეკა ერთიანი კოლექციის სახით არსებობს, ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთა-თანამშრომელთა რამდენიმე თაობის დამსახურებაა. პირველად 1945 წელს მაშინდელი ბიბლიოთეკის დირექტორის ნიკო ლორთქიფანიძის ბრძანებით დაიწყო ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის ეგზემპლარების მოძიება. ამის შემდეგ 1957 წელს თამარ მაჭავარიანმა ბიბლიოთეკის ფონდიდან გამოაცალკევა ჭავჭავაძისეული ბიბლიოთეკის ნაწილი. 1986 წელს ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელმა ლევან ჭრელაშვილმა ხელნაწერთა ინსტიტუტის სეიფში მოიპოვა „წკს-ის ბიბლიოთეკისა" და „ილია ჭავჭავაძის" ბიბლიოთეკის კატალოგები, რამაც ახალი ეგზემპლარების მოძიება გააიოლა. 1999 წელს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის, ლევან ბერძენიშვილის ბრძანებით გადაწყდა ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის მაქსიმალური სისრულით აღდგენა და იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში ერთიანი კოლექციის სახით დაცვა.

2 Маркс, Карл. 1899. *Капитал*. Т.1. СПБ, Издание Н.С. Аскарханов

3 Лассаль, Фердинанд. 1970. *Сочинения*. Т.1. СПБ, Издание Н.П. Полякова

4 Бернштейн, Эдуард. 1900. *Исторический материализм.* СПБ: : издание товарищества „Знание"

5 Бебель, Август. *1905. Покушение и социал-демократия*. Изд. 2. Одесса: Издание М.К. Козмана

6 Каутский, Карл. 1900. *Границы капиталистического хозяйства*. Киев-Харьков, Издание Ф.А. Иогансона

უნდა ვთქვათ, რომ ოთხივე ავტორს სოციალ-დემოკრატიის იდეოლოგიის ჩამოყალიბებასა და პოლიტიკის განსაზღვრაში უმნიშვნელოვანესი წვლილი მიუძღვის[7]. მაგალითისთვის, თუ გადავხედავთ ტობიას გომბერტის გამოცემულ „სოციალური დემოკრატიის საფუძვლებს", ვნახავთ, რომ პირველი ოთხი გვარი, რომელიც მარქსის შემდეგ სოციალ-დემოკრატების როგორც ისტორიული, ისე თეორიული საფუძვლების განმარტებისას გვხვდება, ილიას ბიბლიოთეკაში ნაპოვნი გერმანელ სოციალისტ ავტორთა გვარებია (გომბერტის და სხვ. 2014). ისინი მარქსიზმის ერთ-ერთი მთავარი თეორეტიკოსები და ამასთან, მარქსიზმის პირველი კრიტიკოსებიც არიან.

მოცემულ სტატიაში ჩვენ შევეხებით იმას, თუ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდა ილიასთვის ავგუსტ ბებელის მოსაზრებებს[8].

„ჩემზე აქეზებს რაღაცისათვის საქართველოს ხალხს"[9] – წერდა ილია საპოლემიკო წერილში ჟორდანიას 1900 წელს.

„1907 წლის 1-ელ სექტემბერს ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით პეტერბურგში, სახელმწიფო კანცელარიაში გაგზავნილ ტელეგრამაში თბილისის სამხედრო გუბერნატორი აღნიშნავდა: Предпологается что князь убит местными крестянами по подстрекательству социал-демократов" [სავარაუდოა, რომ თავადი მოკლულია ადგილობრივი გლეხების მიერ სოციალ-დემოკრატების წაქეზებით] (გურული 2018, 87).

ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით ბევრი დაიწერა. სტივენ ფ. ჯონსი აღნიშნავდა, რომ „იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრი სწორედ ქართველ სოციალ-დემოკრატებს მიაწერდა ილიას მკვლელობას" (ჯონსი 2018, 50).[10] მკვლევართა უმრავლესობა თანხმდება, რომ მკვლელობა ბოლშევიკების ფრთის წარმომადგენლების მხრიდან იყო ორგანიზებული[11]. მაგალითად, ვახტანგ გურული წერს, რომ „ქართველ სოციალ-დემოკრატთაგან მკვლელობის ორგანიზებაში მონაწილეობდნენ ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე. არც ერთი იმ ხანად რსდპ თბილისის კომიტეტის წევრი არ ყოფილა, ისინი კომიტეტის დავალებით არ მოქმედებდნენ და არც კომიტეტს აბარებდნენ ანგარიშს"(გურული

---

7 ამ გარემოებაზე არაერთი ავტორი საუბრობს, მაგალითად, ჰელგა გრებინგი; ასევე საინტერესო ამ მხრივ ავტორთა ჯგუფის ნაშრომი: Helga Grebing; Geschichte der deutschen Arbeitbewegung; vorwärts buch 2007; Walter Euchner . Helga Grebing F.-J. Stegmann · Peter Langhorst· Traugott Jahnichen . Norbert FriedrichGeschichte der socialen Ideen in Deutschlandö verlag fUr Sozialwissenschaften Wiesbaden 2005

8 *„ბებელი — სოციალ-დემოკრატია და ტერორი" წარმოადგენს წიგნის „ილია და სოციალისტები" ერთ-ერთ თავს.*

9 **„რის თქმა გნებავთ ამითი, რასაც უკანასკნელი სიტყვები ამბობენ, ბ-ნო ჟორდანიავ? რ**ომ ვეღარას გახდით-რა, საქართველოს ერთან მაბეზღებთ განა? ეს კიდევ არაფერი: ხარი ხართან დააბი, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო. ვიცი, რომ ამ ანდაზას თქვენ ვერ წაუხვიდოდით, ისიც ვიცი, მაგ ბეზღობის უნარი საიდამ მოგცხებიათ. **ეს რა საქმეზე აქეზებთ საქართველოს ხალხს, რომ „იმედია ამას არ დაივიწყებს ასე ყბადაღებული საქართველოს ხალხიო" და სამის წერტილით ათავებთ ამ სიტყვას. რა გნებავდათ ამით გეთქვათ და რა დაგრჩათ კიდევ სათქმელი, რომ სამი წერტილი ჩაურთეთ ამ სიტყვებს ბოლოში?"გვ. 280-281**

10 აქვე, გვ. 375. იხილეთ ავტორის კომენტარი.

11 მიუხედავად არაერთი ნაშრომისა, ბევრი საკითხი მაინც ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია. როგორც ჩანს, საარქივო მასალების ხელმისაწვდომობასთან ერთად, ამ თემასთან დაკავშირებით არაერთ საინტერესო კვლევას უნდა ველოდოთ.

2018, 90). ჩვენი ნაშრომის მიზანი არ არის უშუალოდ მკვლელობის გამოძიება და მკვლელების ვინაობის დადგენა. ჩვენ ვცდილობთ, გავერკვეთ იდეების ისტორიაში, იდეოლოგიების შრეებსა და მათ მიერ შექმნილ გარემოში. ვნახოთ, რას ამბობს თავად ჟორდანია, როდესაც ილიას მკვლელობის ბრალდების საქმეში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობას უარყოფს:

> როგორც ვხედავ მთელი ეს ბრალდება ეხება ქართველ სოციალ-დემოკრატიას. ვთქვათ, ეს მართალია, ვთქვათ სოციალ-დემოკრატიის მიერ მომზადებულმა ნიადაგმა დაბადა ეს მკვლელობა, მერე ამისთვის დასაგმობია თვით ეს ნიადაგი? ამ ნიადაგმა დაბადა ის მოძრაობა, ის გონებრივ პოლიტიკური გადასხვაფერება, რომელიც ქართველმა ხალხმა განიცადა და დღე მუდამ განიცდის. ამ ნიადაგზე აღმოცენდა კავკასიის რევოლუცია, მთელი ახალი ისტორია, და თქვენ გსურთ ყველა ეს უკუაგდოთ, დაგმოთ იმიტომ რომ სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტებიც ცვივა. დიდმა რევოლუციამ სიკვდილით დასაჯა დიდებული ქიმიკი ლავუაზიე, მარა თვით რევოლუცია არავის დაუგმია, გარდა რეაქციონერებისა (იქვე, 83).

ის, რაც ჩვენ გვაინტერესებს არის სწორედ იმ „ნიადაგის“ კვლევა, რომელმაც „დაბადა [...] ახალი ისტორია.“ შესაძლებელი გახადა ის აზრი, რომ კონკრეტული, ერთეული ადამიანი „ნაფოტია,“ როდესაც საქმე პროგრესს ეხება. ახალი ეპოქა მრავალი იმედის მომცემი იყო, მაგრამ ისიც ცხადად უნდა ითქვას, რომ ახლად ჩამოყალიბებული ნიადაგის ერთ-ერთი შრე ტერორიზმი გახლდათ. ეს იყო რევოლუციების, განსაკუთრებით, საფრანგეთის რევოლუციის დროს ჩამოყალიბებული სრულიად ახალი, სპეციფიკური პოლიტიკური ძალადობის ფორმა. მე-19 და მე-20 საუკუნის დასაწყისის ევროპაში გარკვეული პოლიტიკური ძალებისთვის ტერორიზმი მმართველი რეჟიმების წინააღმდეგ ბრძოლის მისაღები ფორმა იყო. სოციალ-დემოკრატებს შორის ევროპასა და რუსეთშიც ამ საკითხზე მწვავე დებატები მიმდინარეობდა. ნიშანდობლივია, რომ ილიას ბიბლიოთეკაში კიდევ ერთ წიგნს ვპოულობთ, რომელიც სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთ გამორჩეულ ლიდერს ავგუსტ ბებელს ეკუთვნის და სწორედ ტერორიზმის თემას ეხება. ეს არის ბებელის 1898 წლის სიტყვით გამოსვლის ტექსტი: „თავდასხმა მკვლელობის მიზნით და სოციალ-დემოკრატია“ (Бебель 1905).

რატომ მაინცდამაინც ეს წიგნი? ბოლოს და ბოლოს, ბებელი სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი, ნაშრომებით იყო ცნობილი. შესაძლოა, ილია დაინტერესებულიყო, მაგალითად, ბებელის ნაშრომით „ქალი და სოციალიზმი,“ მაგრამ ამ და, ასევე, სხვა თემებთან დაკავშირებით ილიას განსხვავებული პოლიტიკური ხედვების მქონე პირების მიმართ ჰქონდა სიმპათიები. თან ის ქალთა არჩევნების უფლებას გაცილებით ადრე უძღვნის წერილებს, ვიდრე ბებელის ფიგურა შემოდის მის თვალსაწიერში. მაგალითად, წერილში „ქალების არჩევნების უფლება და ინგლისის პარლამენტი“ ის ჯ. ს. მილის ღვაწლს იხსენებს — „ათმა წელიწადმა გაიარა მას აქეთ, რაც ქალებმა პირველად არჩევანის უფლება ითხოვეს ინგლისის პარლამენტში. მაშინ ეს თხოვნა ჯონ სტუარტ მილმა შეიტანა ლონდონის პალატაში. არზაზედ 1500 კაცს ეწერა ხელი“(ჭავჭავაძე 1957, 233). ხოლო წერილში „დედათა საქმე“ ილია აღწერს, თუ როგორ უსარგებლიათ ამერიკაში, ბოსტონის გამგეობის არჩევნებში ქალებს და მათი მხარდაჭერით რესპუბლიკელებს გაუმარჯვიათ (იქვე, 191). ილია ასევე აღნიშნავს ინგლისის კონსერვატორთა მეთაურის სულბერსის (რომელიც იმ დროისთვის

პრემიერმინისტრის პოსტსაც იკავებდა) პოზიციას, რომელიც ქალთა არჩევნების უფლებას მხარს უჭერდა. ილიას ბებელთან მსგავსი თეორიული საკითხები არ აინტერესებს. მოცემულ შემთხვევაში მისი ინტერესის საგანი სოციალ-დემოკრატების ტერორიზმთან მიმართებაა და ამ ინტერესის ანატომიის გამოცნობა ძნელი არაა.

წიგნი „თავდასხმა მკვლელობის მიზნით და სოციალ-დემოკრატია“გამოცემულია 1905 წელს, ილიას მკვლელობამდე ორი წლით ადრე. 1905 წელი რუსეთის იმპერიაში რევოლუციის წელია, უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენა. ერთი მხრივ, ის პოზიტიური ცვლილებების, რეფორმების ბიძგის მიმცემი იყო. მეორე მხრივ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს ახალი ტიპის ძალადობის ფორმები.

შეგვიძლია თვალი გადავავლოთ ამ წლების ქრონიკას.

> 1905 წელს სოციალ-დემოკრატების წარმატება ტერორს ეფუძნებოდა. 1903 წლიდან ქართველი სოციალ-დემოკრატები კლავდნენ, ბომბავდნენ და სიკვდილით ემუქრებოდნენ მემამულეებსა და პოლიციის თანამშრომლებს. ტერორი საკმაოდ ქმედითი იარაღი იყო იმისთვის, რომ მასზე ხელი აეღოთ. როცა სტოკჰოლმსა და ლონდონის ყრილობებზე ექსპროპრიაცია და პარტიზანული საქმიანობა დაგმეს, სპეციალური შეიარაღებული ჯგუფების განიარაღება მოითხოვეს, ქართველებმა ეს რეზოლუციები უგულებელყვეს. ადგილობრივი მენშევიკური კომიტეტები ბოლშევიკებზე ნაკლებად არ მონაწილეობდნენ ტერორისტულ აქტებში. 1905 წელს საქართველოში ტერორისტული აქტი ყოველდღიური მოვლენა იყო. 1905 წლის თებერვლიდან 1906 მაისამდე თბილისსა და ქუთაისის გუბერნიაში 136 კაცი მოკლეს და 72 დაჭრეს. პოლიტიკური მოტივაციით ჩატარებული ტერორისტული აქტების დროს (ჯონსი 2018, 235) ტერორისტულ ელემენტთა რეგისტრირებული რაოდენობის შემცველი სტატისტიკა საგრძნობლად გაიზარდა. მათი რიცხვი 1905 წლისთვის 194 იყო, 1907 წლისთვის შემთხვევათა რაოდენობა 331-ით გაიზარდა, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 333-დან 619-მდე ავიდა (იქვე, 251).

ამ მონაცემებიდან სრულიად ცხადი ხდება, რომ ტერორი და მკვლელობა ილიასთვის არ იყო უეცარი და მოულოდნელი მოვლენა, რომლის პირისპირაც 1907 წელს წიწამურთან აღმოჩნდა. ილია, ისევე როგორც მთელი მისი სოციალური ფენის სხვა წარმომადგენლები, ამ ტერორში არაერთი წელი ცხოვრობდა.

1905 წლით თარიღდება ილიას წერილი „ნუთუ?“[12], რომელიც პასუხია უმძიმეს ცილისწამებებზე. ილია დაუფარავად წერს, რომ ამ კამპანიის მიზანია მასზე გლეხობის „ზედმისევა“. 1905 წელს სამოქალაქო დაპირისპირების უაღრესად დაძაბულ გარემოში ილიას მიმართ პრესაში მიზანმიმართულად იწერებოდა სრულიად დაუჯერებელი ბრალდებები. გაზეთ „მოგზაურის“ სტატიის ავტორი ილიას, არც მეტი, არც ნაკლები, გლეხის სიკვდილში ადანაშაულებდა. აქვე უნდა ვთქვა, რომ „მოგზაური“[13] ყოველკვირეული მარქსისტული ჟურნალი იყო, ხოლო მისი გამომცემლები ქართველი ბოლშევიკები: ფილიპე მახარაძე, საშა წულუკიძე და სხვა მათი თანამებრძოლები იყვნენ. მრავლის მთქმელია ის ფაქტიც,

12 ილიას წერილი „ნუთუ?“ დაწვრილებით აქვს განხილული აკაკი ბაქრაძეს თავის ნაშრომში «ილია ჭავჭავაძე“

13 „1905 წლის დასაწყისიდან, სხვა ამხანაგებთ ერთად (საშა წულუკიძე და სხვ.) ხელი მოვკიდე ყოველკვირეული მარქსისტული ჟურნალის „მოგზაურის“ გამოცემას“ (ბაქრაძე 2006, 183)

რომ ცილისმწამებლური სტატია „ივერიამ“ გადაბეჭდა (ბაქრაძე 2006, 197),[14] ილიას საპასუხო წერილის დაბეჭდვაზე კი რედაქციამ უარი განაცხადა. აკაკი ბაქრაძე წერდა „ილია იძულებული გახდა, „ნუთუ?“ თავისი ხარჯით დაესტამბა და, როგორც „ივერიის“ დამატება, გაევრცელებინა“ (იქვე, 197).

საპასუხო წერილში ილია მოგვითხრობს (იქვე, 187-195): „ესეთი ცხადზე უცხადესი ტყუილი ერთადერთი სათავეა, საიდამაც ჩვენს სახელოვანს ავტორს წარმოუდგენია იგი შემაძრწუნებელი ტრაგედია, რომელსაც კაცისკვლით ათავებს და ამ კაცისკვლის მიზეზად მე და ჩემს მოურავს გვხვდის“(ჭავჭავაძე 1957, 294) ილიას სიცოცხლე დაუსრულებელი პოლემიკების წყებაა სრულიად განსხვავებული მსოფლმხედველობისა და სოციალური წარმომავლობის ადამიანებთან, მაგრამ თუ მეხსიერება არ მღალატობს, აქ პირველად შეიძლება ამოვიკითხოთ სასოწარკვეთილება: „ეს გლეხკაცის სიკვდილის ამბავი რომ წავიკითხე, თმები ყალყზე ამიდგა და კანკალი მომივიდა. ხუმრობაა, კაცის სიკვდილის მიზეზის გახდომა!“ (იქვე, 302). აქვე ირკვევა, რომ შექმნილ გარემოში სრულიად უპასუხისმგებლო, უსაფუძვლო ტყუილი პროპაგანდის ჩვეული იარაღია. საპასუხო წერილიდან ცხადი გახდა: „ის გამოვიდა, რომ ავტორის მიერ შეთითხნილს ტრაგედიას ბოლოც იმისთანა ტყუილი ჰქონდა, როგორც დასაწყისი. თურმე ნუ იტყვიდა: გურამიანთკარს ამ ზამთარს არც ერთი მამაკაცი გლეხი არ გარდაცვლილა არამც თუ ჩემი მიზეზით, არამედ სხვა მიზეზითა“ (იქვე). სრულიად ნათელია, რომ ფილიპე მახარაძის გამოცემული მარქსისტული გაზეთი „მოგზაურის“ შეთხზული სტატიების მიერ „მომზადებულმა ნიადაგმა დაბადა ... მკვლელობა“, ოღონდ მკვლელობამდე ილიას ამ „ნიადაგზე“, ამ გარემოში მოუწია ცხოვრება. 1907 წლის თავდასხმამდე იყო წარუმატებელი „ზედმოსევები“.

> „თუ ჩვენის ავტორის და „მოგზაურის“ წყალობით ზედმოსევა ჩემზე გლეხისა არ მოხერხდა და ან ერთმა, ან მეორემ საქმე ისე არ გამიხადეს, რომ მათ მიერ მოსეულს და ასისინებულს გლეხკაცობას მტრულად დავხვდე. რაკი, ჩემდა საუბედუროდ, სხვა გზა არ იქნება თავის გადასარჩენად, ეს უფლება თავის გადარჩენისა ბუნებამ ყოველ თვითეულ ცალკე აღებულ ჭია-ღუასაც-კი მიანიჭა და ნუთუ მარტო ჩემთვის ღმერთმა არ გამოიმეტა“ (იქვე, 289).

წიწამურის ტრაგედიამდე ორი წლით ადრე ილია წერდა:

> „არ ვიცი, — რომელი ბეზღობა და ჯაშუშობა უფრო საძაგელია: იგი, რომელიც პოლიციის ხელჯოხიანობას გამოიწვევს, თუ იგი, რომელიც ერთს კაცს მეორეს გადაჰკიდებს მტრად, ერთს წოდებას მეორეზე აალურსებს და აასისინებს, ან თუნდ ცალკე კაცს, როგორც ამ შემთხვევაში მე ვარ, მთელს გლეხკაცობას პირში მისცემს, ვითარცა მათ მოძმეთა მყვლეფელს და მათ მოძმეთა მკვლელს, ყოვლად უსაბუთოდ, ყოვლად უმიზეზოდ“ (იქვე, 304). გლეხთა „ზედმოსევის“ კამპანიის შემდეგ ილია ცხოვრობს როგორც სამიზნე, როგორც მომავალი მსხვერპლი (ბაქრაძე 2006, 186).[15] ამ პერსპექტი-

14 „მოგზაურიდან“ გადაბეჭდილ წერილს „ივერიამ“ სრულიად ამაზრზენი შენიშვნაც დაურთო: „ნუთუ ეს აღმაშფოთებელი ამბავი მართალია? ნუთუ „გლახის ნაამბობის“ ავტორს ასეთი დამოკიდებულება აქვს გლეხებთან? ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ და გვირჩევნია ჯერჯერობით იმედი ვიქონიოთ, რომ თ. ილია ხმას ამოიღებს და კორესპონდენციის უსაფუძვლობას დაგვიმტკიცებს“. ილიას საპასუხო სტატიის სათაური „ნუთუ?“ სინამდვილეში ამ სარკასტული შენიშვნის პასუხია.

15 1905 წლის 23 ივნისს ილია თავს ანებებს ბანკში სამსახურსაც და ამავე წლის 5 ივლისს ანდერძს წერს (ს.რ)

ვიდან, ილიას ბიბლიოთეკაში ნაპოვნი ბებელის წიგნის სათაური ისე ჟღერს, როგორც ილიაზე თავდასხმის შესახებ შესაძლო სტატიის სათაური: „თავდასხმა მკვლელობის მიზნით და სოციალ-დემოკრატია." ოღონდ იმ მომენტისთვის ქართველი სოციალ-დემოკრატები თავისი რადიკალური რევოლუციური სულისკვეთებით საკმაოდ დაშორებულები არიან ბებელის ხედვებს, არაფერი რომ არ ვთქვათ ბოლშევიკებზე. შესაბამისად, ილია ბებელის ნააზრევს ეცნობა, როგორც იმ სამყაროს რეალობას, რომლის გაუკუღმართებულ ანარეკლშიც თავად აღმოჩნდა, ეცნობა სოციალ-დემოკრატების ევროპულ პერსპექტივას, რომლის ნახვასაც ის ვერ მოესწრება.

იმისთვის, რომ წარმოდგენა შევიქმნათ ბებელზე, თვალი უნდა გადავავლოთ სოციალ დემოკრატიაზე შექმნილ ლიტერატურას, მაგ. „სოციალური დემოკრატიის საფუძვლებში" ვკითხულობთ: „ვილჰელმ ლიბკნეხტი (1826-1900) და ავგუსტ ბებელი (1840-1913) — გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მთავარი დამაარსებლები (Euchner et al. 2005) აიზენახში 1869 წელს. ისინი იყვნენ აგრეთვე (ჩრდილოეთგერმანული) რაიხსტაგის (1867-1870) პირველი სოციალ-დემოკრატი დეპუტატები" (გომბერტი და სხვ. 2014, 75). ბებელი, შვაიცერთან ერთად, ცნობილია, როგორც გერმანიის სოცალ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ტაქტიკის შემოქმედი (Euchner et al. 2005, 143). დიდი საბჭოთა ენციკლოპედია ბებელს მეორე ინტერნაციონალის ერთ-ერთ უდიდეს წარმომადგენელს და გერმანული სოციალ-დემოკრატების ბელადს უწოდებს. ლასალისგან განსხვავებით, ის უკვე „თანმიმდევრული" სოციალისტია. ენგელსის შეფასებით: „ბებელი — ყველაზე ნათელი გონების პატრონია მთელ გერმანულ პარტიაში, ამასთან სწორედ ის ადამიანია, რომელსაც შეიძლება დაეყრდნო" (Большая Советская Энциклопедия 1930, 153). მიუხედავად ბებელის მიმართ ერთმნიშვნელოვნად გამოხატული პატივისცემისა, ბოლშევიკები მას მაინც აკრიტიკებენ. ის ე. წ. რეფორმისტების ფრთას მიეკუთვნებოდა. მისთვის პრიორიტეტული იყო მუშათა უფლებების დაცვა და სხვა მშრომელთა სოციალური ფენების მხარდაჭერა. სწორედ ამის საფუძველზე ხედავდა სოციალ-დემოკრატების მიერ საპარლამენტო უმრავლესობაში მოსვლის და ასევე, გარდაქმნის შესაძლებლობას და არა მასების ამბოხითა და რევოლუციით.

ბებელს სჯეროდა თანამედროვე სახელმწიფოსი, მისი დემოკრატიული გარდაქმნების შესაძლებლობის. ის ლეგიტიმური მეთოდებით ბრძოლაში ხედავდა წარმატებას. ეს იყო შეხვედრები მომხრეებთან და ზეპირი აგიტაცია, პრესა და საპარლამენტო საქმიანობა. არალეგიტიმურ ძალადობრივ მეთოდებში ბებელი მზარდი მუშათა მოძრაობისთვის საფრთხეებს ხედავდა. „ვისაც ჰგონია, რომ კოლოსალური წარმატების ფონზე, რასაც ვხედავთ არა მხოლოდ სამხედრო საქმეში, არამედ პოლიტიკურსა და ეკონომიკურში, ჩვენ, სოციალ-დემოკრატები შევძლებთ განვახორციელოთ ჩვენი მიზნები იმავე საშუალებებით, როგორითაც ამას აკეთებდა ბურჟუაზია, მაგალითად ბარიკადებით, ის ცდება — ჩვენ გაგვანადგურებენ, როგორც ბეღურებს" (*იქვე*). ბებელს წარსული ბრძოლებისა და „სოციალისტების აკრძალვის კანონის" პერიოდის გამოცდილებით სჯეროდა, რომ ძალისმიერი მეთოდები იყო სოციალ-დემოკრატების მიმართ ძალადობის წახალისება.

ბებელი უპირისპირდება ანარქისტებს. სწორედ ამ თვალსაზრისითაა ილიას ბიბლიოთეკაში ნანახი ბროშურა საინტერესო. აქ ილიას ნამუშევრის კვალს ვერ ვპოულობთ, მაგრამ ეს არცაა ასე ვთქვათ დასამუშავებელი ნაშრომი, ეს არის ბერლინში 1898 წელს ბებელის მიერ წარმოთქმული სიტყვა, თუმცა რუსეთში ის ნათარგმნი და გამოცემული

1905 წელსაა. ამას ილია მკვლელობამდე, როგორც უკვე შევნიშნეთ, მაქსიმუმ ორი წლით ადრე ეცნობა. ბებელის გამოსვლის საფუძველი არის გერმანიაში მიღებული კანონი სოციალისტების წინააღმდეგ. გერმანიის მთავრობა მათ მთელ ევროპაში ტერორიზმში, პოლიტიკურ მკვლელობებში ადანაშაულებს. ბებელს სურს აუხსნას დამსწრე საზოგადოებას, რომ ტერორი არა სოციალ-დემოკრატების, არამედ ანარქისტების პოლიტიკური მეთოდია და რომ არცერთ თავდასხმაში (ბებელი გულმოდგინედ ჩამოთვლის მკვლელობის მცდელობებს) მათ მონაწილეობა არ მიუღიათ. ის ამბობს, რომ „თუ ანარქისტები თავიანთ სულიერ ბელადებად მიიჩნევენ პრუდონს, მაქს შტირნერს, ბაკუნინს და სხვებს, ჩვენ ასეთებად ვთვლით მარქსს, ენგელსსა და ლასალს“ (Бебель 1905, 10). აქ არაერთი საინტერესო ვითარება იკვეთება. პირველი, როგორც ზემოთ უკვე შევნიშნეთ, თავად მარქსისა და ენგელსის დამოკიდებულება ლასალის პოლიტიკური ბრძოლის კონცეფციის მიმართ იმთავითვე უარყოფითი იყო, აღარაფერს ვამბობთ ლენინზე. რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში განხეთქილების ერთ-ერთი საფუძველი ხომ სწორედ ბრძოლის მეთოდებისადმი განსხვავებული ხედვა იყო. მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატების ორივე ფრთა ანარქისტების წინააღმდეგ კამპანიას ეწეოდა. ლენინის პრეტენზიები მათ მიმართ ერთობ ეგზოტიკურია[16]: „ნუთუ, სწორედ... დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების ტრადიცია არ წარმოადგენს ერთადერთ სერიოზულ საშუალებას მუშათა პარტიის შიგნით ანარქისტული ტენდენციების გადალახვის. არა შაბლონური, ფილისტერული, მეშჩანური მორალი, არამედ უმიზნო, უაზრო, დანაწევრებული ძალადობის გარდაქმნა გამიზნულ, მასობრივ, შეკრულ, დაკავშირებულ ფართო მოძრაობასა და უშუალოდ პროლეტარული ბრძოლის გამწვავებასთან“ (Ленин 1968, 50).

ბებელის პრეტენზიას ანარქისტების ძალადობრივი ბრძოლის მიმართ სხვა საფუძველი აქვს. მისი აზრით, ანარქისტები გადაჭარბებულად აღიქვამენ პიროვნების როლს ისტორიაში. შესაბამისად, გამოჩენილი პიროვნებების მკვლელობა ვერ ცვლის ისტორიის მსვლელობას. გარდა ამისა, აძლევს მთავრობებს საფუძველს არადემოკრატიული მეთოდებით ებრძოლოს სოციალ-დემოკრატებს, რისი მაგალითიც გერმანიაში სოციალისტების წინააღმდეგ მიღებული ე. წ. აკრძალვის კანონი იყო.

ბებელის ამ გამოსვლაში ორი რამ არის აღსანიშნავი: პირველი, მის მიერ მე-19 საუკუნეში განხორციელებული მკვლელობების ჩამონათვალი, რაც ამ პოლიტიკური ბრძოლის მეთოდის აშკარად მზარდ ტენდენციაზე მიუთითებდა და მეორე, ბებელი ერთგან აღწერს, თუ როგორ სთავაზობს ერთი სუბიექტი (ბებელის მტკიცებით ის პოლიციის მოგზავნილია) გერმანიის დიდი ქალაქების მაღალი ჩინის მქონე სამხედრო პირების მკვლელობას. მიუხედავად იმისა, რომ ბებელის გამოსვლა მიმართულია ძალადობრივი ბრძოლის წინააღმდეგ, ის მხოლოდ ააშკარავებს ამ პრობლემის მასშტაბებსა და მზარდ ტენდენციებს როგორც ევროპაში, ისე მთელ მსოფლიოში. გერმანიაში სოციალ-დემოკრატებმა შეძლეს ძალადობ-

16 პოლიტიკური მკვლელობებისგან სრულ გამიჯვნას საბჭოთა იდეოლოგია პოსტსტალინისტურ ხანაშიც ვერ ახერხებს. მაგალითისთვის დოსტოევსკის „ეშმაკების“ თანდართულ წერილში ვკითხულობთ: „ეშმაკები — დოსტოევსკის ყველაზე ტენდენციური ნაწარმოებია. ის წარმოადგენს გაბოროტებულ პამფლეტს 1860-იანი წლების განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, რევოლუციისა და სოციალიზმის იდეის წინააღმდეგ.“ საბჭოთა იდეოლოგიას არ ეთმობა ის, რასაც ბებელი მე-19 საუკუნის ბოლოს აღწერს და აკრიტიკებს. არ ეთმობათ ნეჩაევი, მისი ამაზრზენი, სოციალური შეთქმულების იდეოლოგია და ცნობილი მკვლელობაც კი, რომელიც დოსტოევსკის „ეშმაკების“ მთავარი ინსპირაციის წყარო და ნაწარმოების მთავარი თემა იყო (Достоевский 1957, 707).

რივი პოლიტიკისგან დისტანცირება, ხოლო რუსეთის იმპერიის საზღვრებში პოლიტიკური ტერორი, მკვლელობები და ძალადობა განსაკუთრებული ისტორიული შედეგების მომტანი იყო: ის, რაც 1917 წლამდე ხდებოდა, საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მხოლოდ ფერმკრთალი პრელუდიაა.

უკვე შევნიშნეთ, რომ ბებელის ნაშრომი ილიას სადღაც 1905-1907 წლებში უნდა წაეკითხა. ისიც აღვნიშნეთ, რომ მაშინ საქართველოში პოლიტიკური ძალადობის შეჩერების არანაირი პერსპექტივა არ არსებობდა. პრაქტიკულად მიმდინარეობდა ომი სახელისუფლებო ძალებსა და რევოლუციონერებს შორის. ბებელისა და სხვა ევროპელი სოციალ-დემოკრატების ანტიძალადობრივი ხედვები რუსეთის იმპერიის პროვინციაში თითქოს სრულიად უპერსპექტივო და აბსურდულ იდეებად მოჩანდა. სტივენ ფ. ჯონსთან მძიმე რევოლუციური ბრძოლების აღწერის შემდეგ ერთ ადგილას ვკითხულობთ: „რევოლუციის მომლოდინე ქართველი სოციალ-დემოკრატები 1905 წელს განცდილმა მარცხმა აიძულა, რომ ბრძოლის ახალ მეთოდებზე ეფიქრათ. მათ ბოლშევიკებთან ძირითადად ამ მეთოდების გამო ჰქონდათ უთანხმოება. 1906 წლის ბოლოსთვის რევოლუციურმა განწყობამ იკლო. ქართველებს ახალი სტრატეგია სჭირდებოდათ“ (ჯონსი 2018, 252). ცოტა ქვევით კი განსხვავებული მეთოდებისა და ახალი სტრატეგიის მოძიების შესაძლებლობის შესახებაც ვპოულობთ ადგილს: „ქართული ჟურნალ-გაზეთების სტატიების ავტორებმა ზედმიწევნით კარგად იცოდნენ ავსტრიელ სოციალ-დემოკრატებს შორის ეროვნული საკითხების გარშემო მიმდინარე პოლემიკის დეტალები. როგორ მუშაობდნენ გერმანელი სოციალ-დემოკრატები პარლამენტში და რას ფიქრობდნენ ბებელი, ჟორესი, გედი და ვანდერველდე[17] ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდის — საყოველთაო გაფიცვის გამოყენების შესახებ. ავტორები ხშირად ეწინააღმდეგებოდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატებისა და რსდმპ-ის ოფიციალურ ხაზს“ (იქვე, 253).

როგორც ჩანს, ილიას ბიბლიოთეკაში ნაპოვნი ბებელის წიგნი არ ყოფილა ერთეული, შემთხვევითი მოვლენა. ევროპული გზის პერსპექტივა ქართულ საზოგადოებაში სულ უფრო აქტუალური ხდებოდა. გარდაუვალი კლასთა ბრძოლისა და პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეის პარალელურად არსებობდა ალტერნატიული იდეები, რომლებიც საზოგადოების ფენების არა გახლეჩასა და ურთიერთდაპირისპირებაზე, არამედ სოლიდარობასა და, შესაბამისად, თანამშრომლობაზე იყო მიმართული. 1905 წლის რევოლუციამ იმპერია შეარყია, მაგრამ ასევე დააზიანა რევოლუციაში ჩაბმული ძალები. აშკარად გამოჩნდა, რომ წარმატებისთვის აუცილებელი იყო განსხვავებული სოციალური ფენების მეტი კონსოლიდაცია. ეს კი თავისთავად გულისხმობდა, რომ არჩევანი სოლიდარობაზე დაფუძნებული იდეებისკენ უნდა გადახრილიყო.

---

17 საინტერესოა, რომ ილიას დაკონსპექტებული ჰქონდა „ჟორესის ლექცია: „იდეალიზმზე და მატერიალიზმზე ისტორიაში“ (გამოყენებულია ს.ან-სკის ანგარიში Новое Слово, 1896 წ. N4); მოხსენება: „ორი მხარე ეკონომიკურ მოვლენათა განვითარების პროცესში“ (წაკითხული სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტთან არსებულ საისტორიო საზოგადოების სხდომაზე. ანგარიში Новое Слово, 1896 წ. N4)“.
ჭავჭავაძე, ილია. 1956. „პოლემიკა ნოე ჟორდანიასთან“. *თხზულებათა ათტომეული,* ტომი 6. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 302. ასევე ილიას წაკითხული და დამუშავებული ჰქონდა ემილ ვანდერველდე. Вандерелде, Эмиль. *Город и Деревня в капиталистическом обшестве.* Киев-Харьков: Издание Ф.А. Иогансона 1900

ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, ბოლშევიკებისგან განსხვავებით, ორი ახალი გადაწყვეტილება მიიღეს. პირველი შეეხო სტრატეგიული ხედვის ცვლილებას: შემდგომი რევოლუცია არა სოციალისტური, არამედ ბურჟუაზიული უნდა ყოფილიყო. ეს კი ნიშნავდა, რომ „ბურჟუაზიასთან თანამშრომლობა აუცილებლობას წარმოადგენდა. მუშათა კლასი კი პოლიტიკური მზადყოფნით უნდა შეხვედროდა ამ მოვლენას. ქართველებმა საბოლოოდ აიღეს ხელი პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეაზე“(იქვე, 252). მეორე ცვლილება შეეხებოდა ტაქტიკას: ჟორდანიამ და მისმა მომხრეებმა, გერმანელი სოციალ-დემოკრატების მაგალითზე, გადაწყვიტეს, მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფო დუმის არჩევნებში. ეს კი ნიშნავდა ლეგალურ სივრცეში თავის დამკვიდრებას. პარტიაში „შეთანხმდნენ, რომ შემდეგი ეტაპი ბურჟუაზიული რესპუბლიკა იქნებოდა. ლიბერალებთან ალიანსი არ წარმოადგენდა რევოლუციის ღალატს და ლეგალური სოციალ-დემოკრატიული პარტიაც საჭირო იარაღი იქნებოდა რევოლუციის გამარჯვებისთვის“ (იქვე, 254).

უკიდურესი კონფრონტაციული გარემო იცვლებოდა, ძველი მტრები მოკავშირეები ხდებოდნენ. ეს არ ნიშნავდა, რომ მათ შორის იდეური განსხვავება მოხსნილი იყო. შექმნილი ვითარება გულისხმობდა ახალი სოციალ-პოლიტიკური სივრცის წარმოშობას, სადაც ძველი იმპერიული სახელმწიფოს, სამყაროს წინააღმდეგ თანამშრომლობდნენ განსხვავებული იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური მოძრაობები. თვითმპყრობელობას დაუპირისპირდა სხვადასხვა კლასების სოლიდარობის საზოგადოება.

თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ილიას მთავარი იდეა, მთავარი მიზანი საზოგადოების განსხვავებულ ფენებს შორის ჩატეხილი ხიდების აღდგენა, ძმობის/ სოლიდარობის იდეის საფუძველზე საზოგადოების გაერთიანება იყო. ეს მიზანი არა თუ ახლოვდებოდა, არამედ მარქსისტული კლასთა ბრძოლის იდეების პოპულარიზაციის ფონზე თითქმის მიუღწეველი გახდა. 1905-07 წლებში დაპირისპირებამ უკიდურესი ფორმები მიიღო. ამ დაპირისპირებულ ფონს, შექმნილ გარემოს, ემსხვერპლა ილია. ისტორიის პარადოქსია, მაგრამ მაშინ, როდესაც შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში, არანაირი პერსპექტივა არ ჩანდა, ფაქტობრივად სწორედ ილიას ოპონენტები აღმოჩნდნენ მისი სოლიდარობის იდეის მემკვიდრეები. სრულიად განსხვავებული მოტივებითა და მიზეზებით, მაგრამ სწორედ ნოე ჟორდანიამ და ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა აირჩიეს განსხვავებულ ფენებთან მოკავშირეობისა და თანამშრომლობის სტრატეგია და, როგორც უკვე შევნიშნეთ, „ხელი აიღეს პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეაზე“. სტივენ ფ. ჯონსი კარგად აჩვენებს მათ შემობრუნებას, ერთი მხრივ, ევროპისკენ და, მეორე მხრივ, საკუთარი მოძრაობის საწყისებისკენ: „1906-1914 წლებში ქართველმა სოციალ-დემოკრატიამ ავსტრიული სოციალ-დემოკრატიული „ბილდუნგის“, ანუ კულტურული განვითარების ტაქტიკა აირჩია. ტაქტიკა, რომელიც 1890-იანი წლების დასელების ტრადიციულ აქცენტებს ეხმიანებოდა“ (იქვე 253).

შესაძლოა, სოციალ-დემოკრატებისთვის სოლიდარობის იდეა იყო საშუალება საკუთარი მიზნის, ანუ, საბოლოო ჯამში, სოციალისტური რევოლუციის განსახორციელებლად. თავად განსხვავებულ სოციალურ ფენებს შორის სოლიდარობა ქმნიდა ინტერნაციონალური სოლიდარობისგან უკვე სრულიად განსხვავებულ, ნაციონალური სახელმწიფოს წარმოშობისთვის ხელსაყრელ „ნიადაგს“.

ბოლო დრომდე ილიასა და ქართველი სოციალ-დემოკრატებს შორის დამოკიდებულებას მხოლოდ დაპირისპირების კონტექსტში განიხილავდნენ. სტივენ ფ. ჯონსმა აჩვე-

ნა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატების მსოფლმხედველობის ერთ-ერთი საფუძველი ილიასა და თერგდალეულების ეროვნულ იდეებში უნდა ვეძებოთ.

მოცემულ სტატიაში ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ მიუხედავად მწვავე დაპირისპირებისა, ილიასა და ქართველ სოციალ-დემოკრატებს შორის არსებობდა სხვა შეხების წერტილებიც. ეს იყო ევროპელი სოციალ-დემოკრატების რეფორმისტული, ლიბერალური იდეები. მათ შორის ავგუსტ ბებელის შეხედულებები. აღსანიშნავია და საინტერესოა, რომ ილიამ გერმანელი სოციალ-დემოკრატების დამფუძნებლების შრომების გაცნობის საფუძველზე გაცილებით ადრე დაინახა რუსული სოციალისტური მოძრაობისგან განსხვავებული გზის პერსპექტივა, ვიდრე ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა.

ამ საფუძვლებმა განსაზღვრა ის გარემოება, რომ რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ნოე ჟორდანია და შესაბამისად, ქართველი სოციალ-დემოკრატები1906 წლის შემდეგ, მიუხედავად ადრე არსებული მწვავე დაპირისპირებისა, მთელ რიგ საკითხებში დაუახლოვდნენ ილიას იდეებს და შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული თვალსაზრისით, გახდნენ მის მემკვიდრეები.

გამოყენებული ლიტერატურა

ბაქრაძე, აკაკი. 2006. *ილია ჭავჭავაძე.* თბილისი: გამომცემლობა პეგასი

გომბერტი, ტომას და სხვები. 2014. *სოციალური დემოკრატიის კურსი 1. სოციალური დემოკრატიის საფუძვლები*. თბილისი: ფრიდრიხ ებერტის ფონდი

გურული, ვახტანგ. 2018. *ნოე ჟორდანია – პოლიტიკური პორტრეტი*. თბილისი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

რატიანი, სერგო. 2019. *ილია და სოციალისტები.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ჭავჭავაძე, ილია. 1956. *ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ათტომეული. ტომი 6.* რედ. პავლე ინგოროყვა. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა

ჭავჭავაძე, ილია. 1957. *ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ათრომეული. ტომი 9*. რედ. პავლე ინგოროყვა. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა

ხვედელიძე, ნინო. 2012. ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა. ისტორიულ ბიბლიოგრაფიული ექსკურსი. *საქართველოს ბიბლიოთეკა,* 3 (48): 26-31

ჯონსი, სტივენ ფ. 2018. *სოციალიზმი ქართულ ფერებში (სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა 1883-19170)*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერიტეტის გამომცემლობა

Euchner, W., H. Grebing, F.-J. Stegmann, P. Langhorst, T. Jahnichen and N. Friedrich. 2005. Geschichte der sozialen Ideen in Deutschland. Herausgegeben von Helga Grebing. Wiesbaden: VS Verlag fUr Sozialwissenschaften/GWV Fachverlage GmbH

Бебель, Август. *1905. Покушение и социал-демократия.* Изд. 2. Одесса: Издание М.К. Козмана.

Большая Советская Энциклопедия. 1930. Том 5. Москва: Государственый Институт „Советская Энциклопедия“

Достоевский, Фёдор. 1957. *Собрание сочинений в десяти томах, Бесы*. Москва: Государственое издателство художественой литературы

Ленин, Владимир. 1968. *Полное собрание сочинений Том 17*. Москва: Издательство Политической литературы